

საქართველოში ადიქტოლოგიის¹ სფეროში განათლების საჭიროება

ავტორები:

ირმა კირთაძე, ექიმი, მთავარი მკვლევარი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი, „ალტერნატივა ჯორჯია“, თბილისი

დავით ოთიაშვილი, ექიმი, დირექტორი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი, „ალტერნატივა ჯორჯია“, თბილისი

დარეჯან ჯ. ჯავახიშვილი, ფსიქოლოგი, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და აივ/შიდსის პროექტის მენეჯერი, „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“, თბილისი

რეზიუმე

მიზანი: წარმოდგენილი ანგარიშის მიზანი გახლავთ საქართველოში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროების შეფასება, კერძოდ, ხარვეზების გამოვლენა საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა დონეზე (საჯარო სკოლებში, უნივერსიტეტებში ბაკალავრიისა და სამაგისტრო კურსებზე, მასწავლებლების, სკოლის ფსიქოლოგების, ნარკოლოგების, ჟურნალისტების კონტინგენტში) და ასევე ორგანიზაციებში, რომლებიც ნარკოლოგიურ მომსახურებას ასორციელებენ. ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროების შეფასებისა და დადგენის გარდა, ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები, თუ რა გზით არის შესაძლებელი გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება.

მეთოდოლოგია: ანგარიში კვლევის შედეგებს ეფუძნება. კვლევა ითვალისწინებდა განათლების სისტემის სტრუქტურის, მოქმედი საერთაშორისო დებულებებისა და ნორმების, მომსახურების სისტემის შესწავლას. მასწავლებლებთან, განათლების სისტემაში მომუშავე პედაგოგებთან და შესაბამისი სამსახურების პერსონალთან მრავალმხრივი ინტერვიუები ჩატარდა. მონაცემების შეგროვება 2010 წლის მარტსა და აპრილში წარმოებდა.

დასკვნები: კვლევა ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ადიქტოლოგიის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა შეიმჩნევა. ეს პირველ რიგში ეხება წამალმომხმარებლის ჯანდაცვის სფეროში მომუშავე მენეჯერებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს, იურისტებსა და სოციალურ მუშაკებს. კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ადიქტოლოგიის სფეროში განათლების მიღების ეფექტური მექანიზმები. საქართველოს განათლების სისტემის ყველა სეგმენტში უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამები (სხვადასხვა ფორმატითა და მოცულობით, სხვადასხვა ჩარჩოთ).

¹ ადიქტოლოგია – დისციპლინა დამოკიდებულების ქცევების შესახებ, რომელიც ერთი დისციპლინის ფარგლებში მოაქცევს დამოკიდებულების, მათ შორის წამალდამოკიდებულების, სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და საკანონმდებლო ასპექტებს.

შესავალი

ადიქტოლოგიის სფერო საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვითარდება. 1992 წელს ადიქტოლოგია (რომელიც იმ დროისთვის „ნარკოლოგიის“ სახელით იყო ცნობილი), როგორც დამოუკიდებელი მულტიდისციპლინური სფერო, ფსიქოლოგიის დარგს გამოეყო, რაც ცალკე სამეცნიერო ინსტიტუტისა და კლინიკის დაარსებითაც აღინიშნა. ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს პროფესიულ ასპარეზზე გამოჩნდნენ წამალმოხმარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი საქმიანობის მიზანს ნარკოტიკების მოხმარების პირველადი პრევენცია, ზიანის შემცირება და ნარკოპოლიტიკა წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი კანონმდებლობა ახალი ასწლეულის დასაწყისში (2002-2003 წლებში) შეიმუშავა. ქვეყანაში ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნა რამდენიმე არასამთავრობო სამედიცინო კლინიკა; ამჟამად ხუთი კლინიკა არსებობს, რომლებიც წამალდამოკიდებულ ადამიანებს დეტოქსიფიკაციასა და ხანმოკლე ფსიქოთერაპიულ დახმარებას სთავაზობენ. ზიანის შემცირების სამსახურებიც თანდათანობით იქმნებოდა და დღეს არა მხოლოდ შპრიცების გაცვლის პროგრამებს მოიცავს (რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს), არამედ ნებაყოფლობითი ტესტირებისა და საკონსულტაციო მომსახურების, მეთადონისა და ბუპრენორფინის ჩანაცვლებით ფართომასშტაბიან პროგრამებს, რომლებიც ნაკლებად არის განვითარებული, მაგრამ თანდათანობით საბოლოო სახით ყალიბდება.

მიუხედავად ასეთი წინსვლისა, ადიქტოლოგიის სფერო წელი ტემპით ვითარდება, რასაც საბჭოთა მემკვიდრეობაც უწყობს ხელს. განვითარების პროცესს რიგი პრობლემები აფერხებს: ქვეყანაში ნარკოტიკების შესახებ შესაბამისი ინფორმაციული სისტემის არარსებობა, ნარკოტიკების მოხმარების სფეროში დონისძიებების კოორდინაციის მექანიზმის არარსებობა, ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის არარსებობა, მოუქნელი/მოძველებული კანონები ნარკოტიკების შესახებ და აღნიშნულ დარგში კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტი.

წინამდებარე ნაშრომში ეს უკანასკნელი პრობლემაა განხილული – წამალმოხმარების სფეროში კვალიფიციური ადამიანური რესურსებისა და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ინსტიტუციური მექანიზმების დეფიციტი. კერძოდ, ნაშრომში აღწერილია ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებები და აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების მიმართულებით სამოქალაქო და აკადემიური სექტორების ქართველი წარმომადგენლებისა და ჩეხი სწავლულების ძალისხმევა. ნაშრომი საქართველოში განათლების სისტემის დახასიათებით იწყება, რასაც მოსდევს ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროებების აღწერა სხვადასხვა დონეზე: მომსახურება, სამედიცინო განათლება, განათლება საჯარო სკოლებში, სოციოლოგიური და პოლიტოლოგიური განათლება უნივერსიტეტებში. დაბოლოს, აღწერილია ქართველი და ჩეხი პარტნიორების ერთობლივი ქმედება საჭირო ცვლილებების მისაღწევად.

განათლების სისტემის სტრუქტურა საქართველოში

წყარო: www.naec.ge (2010 წლის 7-8 მაისი)

2005 წლიდან საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდები მოქმედებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის (სახელმწიფო და კერძო). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლემ სავალდებულო გამოცდა უნდა ჩააბაროს. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის აუცილებელი პირობა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებაა. გამოცდების შედეგებს ეროვნული საგამოცდო ცენტრი აფასებს.

განათლების სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოში მართავს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ხარისხის უზრუნველყოფა აკრედიტაციის პროცესის მეშვეობით ხორციელდება. აკრედიტაციას განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ატარებს www.nea.ge.

სახელმწიფო მხოლოდ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს ცნობს, რომელთაც აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები ან მათთან გათანაბრებული დაწესებულებები გამოსცემენ. უმაღლესი სასწავლებლების და/ან მათი პროგრამების აკრედიტაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახდენს.

უმაღლესი განათლების ეტაპები


წყარო: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=eng> (2010 წლის 7-8 აპრილი)

უმაღლესი განათლება საქართველოში სამ ეტაპად არის წარმოდგენილი:

პირველი ეტაპი – ბაკალავრის ხარისხი (240 კრედიტი);

მეორე ეტაპი – მაგისტრის ხარისხი (120 კრედიტი);

მესამე ეტაპი – დოქტორის ხარისხი (180 კრედიტი).



გარდა ამისა, პირველი ეტაპი მოიცავს პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს სერტიფიცირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია ენიჭება (120-180

კრედიტი). მედიცინა, სტომატოლოგია და ვეტერინარია (300-360 კრედიტი) ერთიანი სასწავლო პროგრამებით ისწავლება, რომელთა დასრულების შემდეგაც სტუდენტს მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული კვალიფიკაცია ენიჭება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ისწავლება უმაღლესი სასწავლო პროგრამები და/ან მხოლოდ პირველი ეტაპის პროგრამები – საბაკალავრო პროგრამები;
- სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც უმაღლესი სასწავლო პროგრამა (პროგრამები) ისწავლება (გარდა სადოქტორო პროგრამებისა). სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტს შეუძლია უმაღლესი განათლების პირველი და მეორე ეტაპები გაიაროს – ბაკალავრისა და მაგისტრის სასწავლო პროგრამა (პროგრამები);
- უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე ეტაპის სასწავლო პროგრამა ისწავლება.

საქართველოში 23 სახელმწიფო და 47 კერძო აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დადგენილებები

ბოლონიის პროცესი

ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით შესაბამისმა სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1998), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998). ამჟამად ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 46 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს 2005 წელს შეუერთდა, ბერგენის სამიტზე.

უნივერსიტეტებში მოქმედი სტანდარტები

წინამდებარე სტატიაში მოცემული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდიდან არის მიღებული.

კრედიტების სისტემა უნივერსიტეტებში

კრედიტი სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიღწეული წარმატების, ლექციებზე, სემინარებსა და ინდივიდუალურ სამუშაოზე დახარჯული დროის შეფასების საშუალებაა.

- 1 კრედიტი = 25-30 სთ.

შენიშვნა. ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დროის გადანაწილება დამოკიდებულია საგნის სპეციფიკასა და უნივერსიტეტის პოლიტიკაზე. სასწავლებლის თითოეული სასწავლო პროგრამა აღწერს სწავლის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მისაღებ კვალიფიკაციას. პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ იგი კრედიტების

ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) შეესაბამება, აქვს შესაფერისი სტრუქტურა და ითვალისწინებს სტუდენტის შეფასების სისტემას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სასწავლო პროგრამებით არის განსაზღვრული.

ქვეყნის ცხრა წამყვან უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების ბაკალავრისა და მაგისტრის კურსების სასწავლო გეგმების ზოგადმა ანალიზმა არაადეკვატური პრაქტიკული და თეორიული ცოდნა გამოავლინა ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის/ზიანის შემცირებისა და ადიქტოლოგიის სფეროში. მონათესავე დისციპლინების (ფსიქიატრია, ნარკოლოგია, სოციალური მუშაობა და სხვ.) შესწავლისას ყურადღება არ ეთმობა ადიქტოლოგიას, როგორც მულტიდისციპლინურ სფეროს, ან თუ მოცემულ თემას მაინც უთმობენ გარკვეულ დროს, იგი ზედაპირულად ისწავლება (სულ რამდენიმე საათია ამისთვის გამოყოფილი, ძირითადი ასპექტების ზედაპირულად გაცნობა ხდება) და არ შეესაბამება პრაქტიკულ გამოყენებასა და რეალობას.

საქართველოში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროების შეფასება

სერვისების მიმწოდებლების საჭიროებების შეფასება

შეფასების მიზანს წარმოადგენდა:

- საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების დარგში მოქმედი სერვისების რუკაზე დატანა;
- მომსახურების არსებული სახეების დახასიათება, პერსონალით დაკომპლექტების მოთხოვნები და პროგრამების საჭიროებები;
- პროგრამების პროფესიული კადრების საგანმანათლებლო მოთხოვნები.


მოთხოვნილებათა შეფასება სერვისების მიმწოდებლებთან ინდივიდუალური ინტერვიუების საშუალებით მოხდა. შვიდი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ წამალდამოკიდებულების სამკურნალო კლინიკების, ზიანის შემცირების დაბალზღურბლოვანი პროგრამებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმომადგენლებთან ჩატარდა.

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების დარგში არსებული სამსახურები

საქართველოს მასშტაბით შპრიცების გაცვლისა და ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების (ნკტ) პროგრამები რვა ქალაქში მოქმედებს (იხ. რუკა), ორი მათგანი – თბილისში. თითოეულ პროგრამაში შედის: ნემსებისა და შპრიცების გაცვლა ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლებისთვის, განათლება აივ-პრევენციისა და უსაფრთხო ინიექციის შესახებ, საინფორმაციო მასალების გავრცელება, პრეზერვატივებისა და ნალოქსონის დარიგება; ნებაყოფლობითი კონსულტაცია აივ/C ჰეპატიტის ვირუსის/B ჰეპატიტის ვირუსის საკითხებზე და ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლებისა და მათი პარნტიორების შემოწმება ამ ინფექციებზე; ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების კონსულტაციები ნარკოლოგებთან, ინფექციონისტებთან, ქირურგებთან და იურისტებთან. ამ პროგრამების ფარგლებში ზემოთ მითითებული მინიმუმ ერთი სახის მომსახურება წლის განმავლობაში მიეწოდება ნარკოტიკის სულ მცირე 5000 ინიექციურ მომხმარებელს. პროგრამების პერსონალის ტრადიციული შემადგენლობა შემდეგია: პროგრამის კოორდინატორი – 1; სოციალური მუშაკი – 3; ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების კონსულტანტი – 1; ექთანი – 1;

კონტრაქტით მომუშავე კონსულტანტები (შეირჩევა პროგრამის კონკრეტული მოთხოვნების მიხედვით – ნარკოლოგი, ინფექციონისტი, ქურურგი, იურისტი, შინაგანი ორგანოების მედიცინის თერაპევტი). პროგრამები შიდსის, ტუბერკულოზისა და მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (GFTAM) მიერ გამოყოფილი გრანტით ფინანსდება. ზიანის შემცირების მომსახურების სახელმწიფო დაფინანსება გათვალისწინებული არ არის, თუმცა დროთა განმავლობაში ნათელი ხდება, რომ პოლიტიკოსები აცნობიერებენ, ახლო მომავალში რამდენად აუცილებელია, საერთაშორისო დაფინანსება თანდათანობით ადგილობრივი დაფინანსებით შეიცვალოს.

საქართველოში არსებული წამლდამოკიდებულების მკურნალობისა და ზიანის შემცირების სამსახურების რუკა



საპატიმროებში, დღევანდელი მდგომარეობით, ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების 10 პუნქტია გახსნილი და 2010 წლის ბოლოსთვის კიდევ 6 ასეთი პუნქტი გაიხსნება. ამ პუნქტებში ნებაყოფლობითი კონსულტირებასა და ტესტირებას უწევენ პატიმრებს, მათ შორის მათაც, ვისაც წარსულში ჰქონდა ან ამჟამად აწუხებს ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები. მოცემული სამსახურების პერსონალის ტრადიციული შემადგენლობა ასეთია: ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების კონსულტანტი – 1; ექთანი – 1; ლაბორანტი – 1. მათი საქმიანობა შიდსის, ტუბერკულოზისა და მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტით ფინანსდება.

ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა საქართველოს 8 ქალაქში (იხ. რუკა) მოქმედებს და ოპიოიდებზე დამოკიდებულ დაახლოებით 1200 პაციენტს ემსახურება. აქედან რვა პუნქტი თბილისშია, მათ შორის ერთი – საპატიმროში. ყველა პროგრამა ითვალისწინებს მეთადონით მკურნალობას, ერთის გარდა, რომელიც სუბოქსონით მკურნალობაზეა (ბუპრენორფინი/ნალოქსონი) ორიენტირებული. ოთხი პროგრამა შიდსის, ტუბერკულოზისა და მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტით ფინანსდება, ხოლო თერთმეტს სახელმწიფო (პაციენტის თანაგადახდით) აფინანსებს. პროგრამის მომსახურე პერსონალის ტრადიციული შემადგენლობა ასეთია: პროგრამის ხელმძღვანელი – 1; ექიმი/ნარკოლოგი – 2-3; ექთანი – 2; ფსიქოლოგი – 2; სოციალური მუშაკი – 2.

საქართველოში 6 ნარკოლოგიური კლინიკაა (5 მათგანი თბილისში მოქმედებს), რომლებიც წამლდამოკიდებულებს დეტოქსიკაციას (ფიზიკური დამოკიდებულების მოხსნას) სთავაზობენ. ყველა მათგანი კომერციულია, განსხვავდება მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამთავრობო ორგანიზაცია („ურანტი“ და „ბემონი“ ქ. თბილისში), სააქციო საზოგადოება (ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ბათუმის ნარკოლოგიური ცენტრი). კლინიკაში პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია კლინიკის მუშაობის სპეციფიკაზე, მაგრამ პროგრამაში აუცილებლად მონაწილეობენ შემდეგი პროფესიის ადამიანები: ექიმი/ნარკოლოგი, ფსიქოლოგი, ექთანი, თერაპევტი, ფიზიოთერაპევტი (აკუპუნქტურა, ხელოვნების თერაპია) და კონსულტანტები (ფსიქიატრები, ნევროლოგები, კარდიოლოგი, ინფექციონისტი, ჰეპატოლოგი და სხვ.).

საპატიმროებში მოქმედებს 12-საფეხურიანი პროგრამები (ერთი მათგანი ქალთა კოლონიაში ფუნქციონირებს). ორ პროგრამას სახელმწიფო აფინანსებს, ხოლო ერთს – პოლონეთის მთავრობა. ტრადიციულად, პროგრამის პერსონალი ასეთია: 12-საფეხურიანი პროგრამის კონსულტანტი – 1; ფსიქოლოგი – 1. სარეაბილიტაციო პროგრამები თითქმის არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ეკლესიასთან არსებულ მცირე მასშტაბით მოქმედ პროგრამას ქ. თბილისში.

საქართველოში სამკურნალო დაწესებულებების პერსონალის წამლდამოკიდებულებასთან დაკავშირებული განათლების საჭიროება

ქვემოთ აღწერილია, თუ რა გზით ახერხებენ უმაღლესი სასწავლებლები ადიქტოლოგიის სფეროში სერვისების მიმწოდებელთა საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას (შენიშვნა: პროგრამის პერსონალის, სახელმწიფო მოთხოვნებისა და პერსონალის საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ ინფორმაცია იხ. ცხრილში I).

ცხრილი I. წამლდამოკიდებულების მკურნალობის, ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის პროგრამების პერსონალი და მათი საგანმანათლებლო მოთხოვნები

რა თანამდებობები არსებობს ორგანიზაციაში?	რა განათლება აქვს მიღებული პერსონალს?	რა ოფიციალური მოთხოვნები/კრი-ტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პერსონალმა?	როგორია პერსონალის საგანმანათლებლო საჭიროებები, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები (გააუმჯობესონ შეთავაზებული მომსახურების ხარისხი)?	სად არის შესაძლებელი დაკმაყოფილდეს პერსონალის საგანმანათლებლო საჭიროებები? არსებობს თუ არა განათლების მიღების ადეკვატური შესაძლებლობები?
ექიმი/-ნარკოლოგი	ნარკოლოგი	ექიმი	ნარკოტიკების ეპიდემიოლოგია, ნარკოტიკზე მოთხოვნის შემცირებისკენ ორიენტირებული მიდგომები,	შესაძლებლობა არ არსებობს

			ნარკოტიკების მოხმარების კვლევა	
ფსიქოლოგი/ ფსიქოთერაპევტი	ფსიქოლოგი	ფსიქოლოგია	ადიქტოლოგიის საფუძვლები ²	შესაძლებლობა არ არსებობს
ნკტ კონსულტანტი	ექიმი, ფსიქოლოგი	არა	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
კონსულტანტი (12 საფეხური)	ექიმი (ყოფილი მომხმარებელი)	არა	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
სოციალური მუშაკი	ექთანი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ექიმი	არა	ადიქტოლოგიის საფუძვლები, ნარკოტიკის მომხმარებლებთან მუშაობის სპეციფიკა	შესაძლებლობა არ არსებობს
ექიმი – თერაპევტი	ექიმი	ექიმი	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
ექიმი-ინფექციონისტი	ექიმი	ექიმი	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
ექიმი – სქესობრივი გადამდები დაავადებების სპეციალისტი	ექიმი	ექიმი	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
ექთანი	ექთანი		ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს
პროგრამის კოორდინატორი	იურისტი, ექიმი, კლინიკური ფსიქოლოგი	არა	ადიქტოლოგიის საფუძვლები	შესაძლებლობა არ არსებობს

წამალდამოკიდებულების სამკურნალო კლინიკებში თუ ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის პროგრამების ფარგლებში ნარკოლოგები ერთადერთი პროფესიონალები არიან, რომელთაც წამალმომხმარებლის სფეროში რეალური ცოდნა და ოფიციალური ნარკოლოგიური განათლება აქვთ. თუმცა სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას ისინი უმთავრესად ნარკოტიკების მოხმარებისა და წამალდამოკიდებულების ბიოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ ასპექტებს შეისწავლიდნენ, მათ ასწავლიდნენ, რომ ეს პრობლემები ძირითადად ფარმაკოლოგიური საშუალებებით უნდა გადაიჭრას. ნარკოლოგები ადიქტოლოგიის საკითხებს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შეისწავლიან. რესპონდენტები დაეთანხმნენ იმ ფაქტს, რომ მომავალი სპეციალისტები ინფორმირებული უნდა იყვნენ წამალმომხმარებლის სფეროში არსებული სერვისების მრავალფეროვნების შესახებ (ზიანის შემცირება და სხვ.) და ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ნარკოტიკების მოხმარების კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკული (კვლევის) უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

პროგრამებში ჩართვამდე ყველა სხვა პერსონალს ნარკოტიკების მოხმარების საკითხებზე უმნიშვნელო წარმოდგენა ჰქონდა. კონსულტანტებსა და სოციალურ მუშაკებს (რომლებიც ხშირ შემთხვევაში ყოფილი მომხმარებლები არიან), აქვთ „რადაც“ ცოდნა აღნიშნული პრობლემის შესახებ, რომელიც ძირითადად მათ პირად გამოცდილებას ემყარება და ხშირად მნიშვნელოვან კორექციას საჭიროებს. „სოციალური მუშაკი“ ერთ-ერთი სპეციალისტია, რომელიც დაასახელა ყველა რესპონდენტმა. მოცემულ სფეროში ორი პრობლემა არსებობს. ერთი მხრივ, პროგრამებში სოციალური მუშაკების დეფიციტი შეიმჩნევა (ფაკულტეტი, სადაც ასეთი

² ადიქტოლოგიის საფუძვლები – შინაარსი და მოცულობა უნდა განსაზღვროს ბილატერალურმა (ჩეხეთი-საქართველო) გუნდმა

მუშაკების მომზადება ხდება, ახლახან გაიხსნა და სპეციალისტების ნაკლებობას მთელი ქვეყანა განიცდის). მრავალი პროგრამა საკუთარ სოციალურ მუშაკებს გზავნის ერთწლიან სასწავლო კურსებზე (რომლებიც ერთადერთია საქართველოში) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე მხრივ, სერტიფიცირებულ სოციალურ მუშაკებს არა აქვთ წარმოდგენა ადიქტოლოგიასა და ნარკოტიკების მომხმარებლებთან მუშაობის მეთოდებზე. ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის პროგრამების მენეჯერებმა (კოორდინატორებმა), რომლებიც ხშირ შემთხვევაში იურისტები, ფსიქოლოგები და ექიმები არიან, ასევე უნდა მიიღონ განათლება ადიქტოლოგიაში.

რესპონდენტების მოსაზრებით, არა მხოლოდ ნარკოლოგიური ცენტრების პერსონალმა, არამედ ოჯახის ექიმებმა და პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემის წარმომადგენლებმაც უნდა შეისწავლონ ადიქტოლოგიის სპეციფიკური საკითხები, რათა შეძლონ პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. რესპონდენტები ასევე იწონებენ ექიმის ასისტენტის თანამდებობის შემოღების იდეას (აღნიშნული გულისხმობს პერსონალის სწავლებას ან გადამზადებას, მაგ. ექთნების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების), რომლებიც პირველად კონსულტაციას გასწევენ და პაციენტებს შესაბამის მიმართვებს მისცემენ.

ცოდნის შესავსებად პროგრამის მენეჯერები ხშირად გზავნიან საკუთარ თანამშრომლებს მეტ-ნაკლებად შესაფერის, მაგრამ არასისტემური ხასიათის ტრენინგებზე, რომელთაც არასამთავრობო ორგანიზაციები, შიდსის ცენტრები თუ სხვა ორგანიზაციები აწეობენ. ამგვარი ტრენინგები და კურსები ძირითადად აივ-პრევენციის საკითხებს ეხება. გარდა ამისა, პროგრამის მენეჯერებს ადგილზე უწევთ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება ახლად მიღებული თანამშრომლებისთვის. მაგალითად, ახალგაზრდა ფსიქოლოგები, რომლებმაც მუშაობა უნდა დაიწყოთ საქართველოს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ უნდა დაესწრონ სამედიცინო უნივერსიტეტის მე-9 კურსის სტუდენტების ლექციებს ნარკოლოგიაში, შემდეგ უნდა იმუშაონ გამოცდილი ფსიქოლოგების ასისტენტებად და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ დამოუკიდებლად მუშაობის უფლება (აღსანიშნავია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ნარკოლოგიის კურსს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის³ ბაზაზე გადიან და ამდენად, სხვა კლინიკებსა და პროგრამებს მისით სარგებლობის საშუალება არ აქვთ).

დასკვნები:

- წამალდამოკიდებულების მკურნალობის, ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის პროგრამების პროფესიონალი პერსონალის ცოდნა ადიქტოლოგიის სფეროში არასაკმარისია;
- აუცილებელია ადიქტოლოგიის კურსების ჩართვა ნარკოლოგების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების პროგრამების კონსულტანტებისა და მკურნალი ექიმების ოფიციალური განათლების კურსში;
- პროფესიონალმა პერსონალმა, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული მომსახურების სფეროში მოღვაწეობას აპირებს, უნდა მიიღოს პროფესიული განათლება და გამოიმუშაოს საჭირო უნარ-ჩვევები.

³ აღნიშნული შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მაგრამ არა სხვა კლინიკებში.

რამდენად საჭიროა ადიქტოლოგიის დისციპლინის ჩართვა საქართველოს განათლების სისტემაში

შეფასების მიზნებს წარმოადგენდა:

- ადიქტოლოგიური განათლების საჭიროების დადგენა საქართველოს საჯარო სკოლებში;
- ადიქტოლოგიური განათლების საჭიროების დადგენა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

საჭიროებათა შეფასება მოხდა საქართველოს განათლების სისტემის სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ინდივიდუალური ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით. კერძოდ, ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტისა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორებთან, ასევე, საჯარო სკოლების დირექტორებთან. გარდა ამისა, გაანალიზდა თბილისში 30 საჯარო სკოლის 60 მასწავლებელთან ნარკოტიკების მოხმარების პირველადი პრევენციის ტრენინგის შედეგად მიღებული მონაცემები.

მდგომარეობა საჯარო სკოლებში

საქართველოს საჯარო სკოლებისთვის ნარკოტიკებთან დაკავშირებული განათლების სტრატეგია შემუშავებული არ არის. ადიქტოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ფსიქოაქტიური ნივთიერებები ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ზოგადად ადამიანის ჯანმრთელობაზე, ქაოტურად ისწავლება, როგორც საჯარო სკოლის დაწყებით, საშუალო და მაღალ კლასებში საბუნებისმეტყველო საგნების შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, ადამიანის ანატომიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ გაკვეთილში (VIII კლასი), რომელშიც განხილულია ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა, მოცემულია სტატია, რომელიც მიმოიხილავს ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედებას ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ქიმიის სახელმძღვანელოში ასევე შესულია ინფორმაცია ამავე თემაზე და ა.შ. ინფორმაციის ამ სახით მიწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწონებულია, როგორც მოცემული პრობლემის ასპექტების მოსწავლეებისთვის გაცნობის ეფექტური საშუალება.

რიგ სკოლებში (მათი რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს) ბიოლოგიის მასწავლებლებს ევალებათ, მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდონ ადიქტოლოგიის საკითხებზე. ისინი აწყობენ სხვადასხვა (თამბაქოს საწინააღმდეგო, ნარკოტიკების საწინააღმდეგო) კამპანიას მოსწავლეების მონაწილეობით. ეს კამპანიები ხშირად ფორმალური და მორალისტური ხასიათისაა და დაშინების ტაქტიკას ეყრდნობა, რის გამოც პრევენციის სტანდარტებს ნაკლებად აკმაყოფილებს. ბიოლოგიის მასწავლებლებს არ გააჩნიათ საკმარისი და ადეკვატური ცოდნა მოცემულ სფეროში, ისინი არ იცნობენ წამალდამოკიდებულების ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელს და, როგორც წესი, მხოლოდ პრობლემის ბიოლოგიურ ასპექტებზე აკეთებენ აქცენტს. გარდა ზემოთ აღწერილი პრობლემებისა, სამოქალაქო სამართლის გაკვეთილებზე (VIII კლასი) მოცემულ თემაში, რომელშიც ჯანსაღი ცხოვრების წესზეა საუბარი, განხილულია თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემები. თუმცა ამ პრობლემებზე მსჯელობა ყველა სკოლის პროგრამით როდია გათვალისწინებული და აღნიშნული დამოკიდებულება იმაზე, თუ სამოქალაქო სამართლის რომელ სახელმძღვანელოს იყენებს სკოლის პედაგოგი. ამჟამად საქართველოს სკოლებში ოთხი სხვადასხვა სახელმძღვანელო გამოიყენება, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული

და რომელთაგან მხოლოდ ერთშია საუბარი ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეულ პრობლემებზე. სახელმძღვანელოს სკოლის ადმინისტრაცია საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევს და მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი სკოლა რომელ სახელმძღვანელოს იყენებს, არ არსებობს. სამოქალაქო სამართლის მასწავლებლებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი სწავლება, რაც მათ მისცემდა ადიქტოლოგიის სფეროში მოსწავლეებისთვის განათლების მიცემის საშუალებას.

მასწავლებლებისთვის შესაფერისი მეთოდოლოგიური ლიტერატურის დეფიციტი შეიმჩნევა, რაც გააფართოებდა მათ ცოდნას მოცემულ საკითხზე – ამჟამად ქვეყანაში საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის, ფსიქოლოგებისა და სკოლის ხელმძღვანელებისთვის მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო არსებობს ნარკოტიკების ბოროტად მოხმარების პრევენციის შესახებ. აუცილებელია ლიტერატურის გამრავალფეროვნება და სკოლებში შეტანა.

აუცილებელია, აღნიშნულ თემაზე მასწავლებლებისთვის უწყვეტი განათლების მექანიზმები შემუშავდეს და დაინერგოს. ამავე დროს უნდა შემუშავდეს განათლების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმები ადიქტოლოგიის დარგში, საჯარო სკოლების მომავალი თანამშრომლებისთვის (ხელმძღვანელობის წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისა და ფსიქოლოგებისთვის), რისთვისაც საჭიროა ადიქტოლოგიის შესახებ განათლების დანერგვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები უმაღლეს სასწავლებლებში

სამედიცინო სასწავლებლებში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საკითხებს ზემოთ შევხებით, მოცემულ თავში კი განვიხილავთ საქართველოს უნივერსიტეტების სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის კათედრებზე ადიქტოლოგიის საკითხში განათლების სფეროში არსებულ ხარვეზებს, იქ, სადაც პროფესიულ ცოდნას მომავალი პედაგოგები, სკოლის ხელმძღვანელები, სოციალური მუშაკები და ჟურნალისტები ეუფლებიან.

საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლებლის სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის კათედრაზე არ არსებობს ადიქტოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. თუმცა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული თემები ზედაპირულად მაინც განიხილება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში:

ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო დაწესებულების ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მოკლედ განიხილება ადიქტოლოგიის რამდენიმე ასპექტი. ზოგიერთი პროფესორის ინიციატივით, მაგისტრანტი სტუდენტები სოციოლოგიის საგანში საკონფერენციო და სემინარებზე წარსადგენ ანგარიშებს ადგენენ ადიქტოლოგიის თემაზე. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმებში, როგორცაა ნეიროფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია და ქცევითი კონსულტაცია, წამლდამოკიდებულება ცალკე საგნად შედის, მაგრამ მისი სწავლება ზედაპირული და ხანმოკლეა, რის გამოც სტუდენტები ვერ იღებენ პროფესიულ ცოდნას აღნიშნულ საკითხებზე.

სოციოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამა ქვეყნის ერთ-ერთ სხვა წამყვან უნივერსიტეტში გეგმით გათვალისწინებული გამოყენებითი ფსიქოლოგიის 15 ორსაათიანი შეხვედრიდან 3 ორსაათიან შეხვედრას უთმობს ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებს, რაც ადიქტოლოგიის ზოგიერთ საკითხსაც მოიცავს. სასკოლო ფსიქოლოგიის/ფსიქოლოგიური კონსულტაციის მიმართულების მაგისტრანტი

სტუდენტები (სპეციალობით – პედაგოგების კონსულტანტი) სკოლებში გადიან პრაქტიკას. სკოლებში გამოვლენილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე ისინი ერთ რომელიმე პრობლემას შეარჩევენ და უნივერსიტეტის პროფესორების ზედამხედველობით შესაბამის კონსულტაციას გაუწევენ პედაგოგებს. მათი ანგარიშების მიხედვით, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები ყოველწლიურად თავს იჩენს მინიმუმ ერთ სკოლაში, მაგრამ არც სტუდენტებსა და არც მათ პროფესორებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა ადიქტოლოგიის სფეროში, რაც უზრუნველყოფდა მათ მიერ გაწეული კონსულტაციების მაღალ ხარისხს.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შესაბამის უნივერსიტეტებში ცალკე კურსი ადიქტოლოგიის ან დამოკიდებულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გათვალისწინებული არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორებმა და დეკანებმა მათთან ინტერვიუების რაუნდის ჩატარებისას გამოთქვეს სურვილი, შეიმუშაონ და დანერგონ სოციალური საკითხების შემსწავლელი სპეციალური კურსი, რომელშიც ადიქტოლოგიის საგანი გაერთიანდება. ასეთი სახის მაღალეფექტური კურსის შესამუშავებლად მათ პროფესიული კომპეტენციის გაფართოება სჭირდებათ.

დასკვნები:

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ საქართველოს დღევანდელ განათლების სისტემაში ადიქტოლოგიის სფეროში ცოდნის გადრმავებასთან დაკავშირებული შემდეგი საჭიროებები:

- მწვრთნელების (ტრენერების) გაწვრთნა (სწავლება), რომლებიც საჯარო სკოლის მასწავლებლებს მისცემენ განათლებას ადიქტოლოგიის დარგში „პედაგოგების უწყვეტი განათლების“ ფარგლებში;
- უნივერსიტეტის პროფესორების სწავლება, რომლებიც კითხულობენ საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიისა და ჟურნალისტიკის დარგში, რათა მათ კვალიფიციურ დონეზე შეძლონ ადიქტოლოგიის საკითხების სწავლება;
- შესაბამისი სასწავლო პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და მოდულების შემუშავების აუცილებლობა;
- ლიტერატურის თარგმნა/რედაქტირება, რომელიც მიაწვდის მწვრთნელებს, საჯარო სკოლის პედაგოგებსა და უნივერსიტეტის ლექტორებს მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციას ადიქტოლოგიის საკითხების შესახებ.

საქართველოში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების დარგში არსებულ საჭიროებებზე რეაგირება

კვლევა ცხადყოფს, რომ ადიქტოლოგიის სფეროში ქვეყნის მასშტაბით კვალიფიციური კადრების დეფიციტი შეიმჩნევა. ეს პირველ რიგში ნარკოტიკების ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე მენეჯერებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს, იურისტებსა და სოციალურ მუშაკებს ეხება. კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ადიქტოლოგიის სფეროში განათლების ეფექტური მექანიზმები. საქართველოს განათლების სისტემის ყველა სეგმენტში უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამები (სხვადასხვა ფორმატითა და მოცულობით და სხვადასხვა ჩარჩოთ).

გამოვლენილი საჭიროებების პასუხად პარტნიორთა კოალიციამ სპეციალური პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანსაც საქართველოში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა/შემუშავება წარმოადგენს,

კერძოდ, კარლოვი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ადიქტოლოგიის ცენტრის (ჩეხეთის რესპუბლიკა), საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა ჯორჯიას“ დამოკიდებულების კვლევითი ცენტრისა და IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის (ქართულ-გერმანული უმაღლესი სასწავლებელი) მიერ. პროექტს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა აფინანსებს.

„ალტერნატივა ჯორჯიას“ პროექტის ფარგლებში, ჩვენი ჩეხი პარტნიორების ზედამხედველობით შეფასდა ქვეყანაში ნარკოლოგიური განათლების საჭიროებები და რესურსები, რის საფუძველზეც IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი შეირჩა, სადაც უნდა მოხდეს ნარკოლოგიური განათლების პროექტის საპილოტე გაშვება. კარლოვი უნივერსიტეტმა და IB ევრო-კავკასიურმა უნივერსიტეტმა ხელი მოაწერეს შეთანხმების მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მათი თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს.

ქვეყანაში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების ხელშესაწყობად სპეციალისტების მულტიდისციპლინური ჯგუფი შეიქმნა. ამ ჯგუფში IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის, „ალტერნატივა ჯორჯიას“ დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს ნარკოლოგიური სამსახურების მენეჯერები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და შესაბამისი ექსპერტები გაერთიანდნენ. ამჟამად გუნდი ადიქტოლოგიის სფეროში სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე მუშაობს. ქვეყნის მასშტაბით ადიქტოლოგიის სფეროში განათლებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად ბაკალავრის კურსი შემუშავდება ადიქტოლოგიის სპეციალობით და მისი პილოტური გაშვება IB ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში იგეგმება.

ჩარლზის უნივერსიტეტს, „ალტერნატივა ჯორჯიასს“ და IB ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შედეგად იმ გზების ძიება მიმდინარეობს, რომელთა დახმარებითაც უნდა მოხდეს ქვეყანაში ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროებათა დაკმაყოფილება.

დასკვნითი დებულებები და რეკომენდაციები

წინა თავებში მოყვანილ შედეგებსა და დასკვებზე დაყრდნობით, ავტორების საბოლოო დასკვნები შემდეგია:

- აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე მომუშავე პროფესიონალების უწყვეტი განათლების მექანიზმების შემუშავება;
- აუცილებელია ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სამსახურებში (მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია და ა.შ.) მომუშავე პროფესიონალების (მენეჯერების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, იურისტებისა და ნარკოლოგების) უწყვეტი განათლების ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება;
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განისაზღვროს სოციალური დარგის მომავალი პროფესიონალებისთვის (პირველ რიგში, სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ჟურნალისტებისა და პედაგოგებისთვის) ადიქტოლოგიის სფეროში განათლების საჭიროება, შესაბამისი მექანიზმების შეთავაზება და უნივერსიტეტებში მათი დანერგვა;
- აუცილებელია განისაზღვროს მომავალი მედიკოსებისთვის (პირველ რიგში, ნარკოლოგებისა და ოჯახის ექიმებისთვის) ადიქტოლოგიის სფეროში

განათლების საჭიროება, შესაბამისი მექანიზმების შეთავაზება და უნივერსიტეტებში მათი დანერგვა;

- აუცილებელია აღნიშნულ თემაზე სასწავლო ლიტერატურის მომზადება, გამოცემა და გავრცელება;
- ადიქტოლოგიის სფეროში განათლება სამიზნე ჯგუფებს შეიძლება მივაწოდოთ შემდეგი ფორმატით: ბაკალავრიატის სასწავლო გეგმები, მაგისტრატურის სასწავლო გეგმები, გადამზადების ხანმოკლე კურსები სხვადასხვა სპეციალისტისთვის, ხანმოკლე კურსები სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის და საზაფხულო სკოლები (ჩეხეთის რესპუბლიკაში და/ან საქართველოში).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი სასწავლო (გადამზადების) კურსების დანერგვის შესახებ:

სამიზნე ჯგუფი	საგანმანათლებლო საჭიროებები	კურსის ფორმატი	სასწავლო დაწესებულება
ბაკალავრიატის სტუდენტი	ადიქტოლოგიის საფუძვლები	ბაკალავრიატის ზოგადი სასწავლო გეგმის კურსები (დიპლომი ადიქტოლოგიის დარგში არ გაიცემა).	ხორციელდება IB უნივერსიტეტში და რეკომენდებულია სხვა უნივერსიტეტებისთვისაც
სოციოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები	ადიქტოლოგია	სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული კურსები	შემუშავებულია და შესთავაზეს სხვა უნივერსიტეტებსაც
პედაგოგიური უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტები	ადიქტოლოგია, პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესი	შესაბამისი კურსები ბაკალავრის საერთო სასწავლო გეგმაში	შემუშავებულია და შესთავაზეს სხვა უნივერსიტეტებსაც
სამედიცინო/ჯანდაცვის – ექთანი/ექიმი-ასისტენტი	ნარკოტიკების ეპიდემიოლოგია, ნარკოტიკების მოხმარება და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, პრევენცია (პირველადი, მეორადი, მესამეული), ნარკოტიკების მოხმარების კვლევის საფუძვლები	სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული კურსები	შემუშავებულია და შესთავაზეს სხვა უნივერსიტეტებსაც (სამედიცინო სასწავლებლებს)
ნარკოტიკების მოხმარების სფეროსა და მონათესავე სფეროების პროფესიონალები	ადიქტოლოგია, პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ინტერდისპლინარული მიდგომა ნარკოლოგიურ მომსახურებაში	ცალკე კურსები მომუშავე პროფესიონალების ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად	შემუშავებულია და ხორციელდება IB უნივერსიტეტში
მონათესავე სფეროების პროფესიონალები: ჟურნალისტები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლები, იურისტები და სხვ.	ადიქტოლოგია, პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესი	ცალკე კურსები ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად	შემუშავებულია და ხორციელდება IB უნივერსიტეტში
პროფესიონალები ნარკოტიკების	ადიქტოლოგია, კონსულტაციის უნარ-	სერტიფიცირებული ლექციები, რომლებიც	შემუშავებულია და ხორციელდება IB

<p>მოხმარების სფეროში: სოციალური მუშაკები, კონსულტანტები ნარკოლოგიურ საკითხებში, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პროგრამის კოორდინატორები/მენეჯერები, ექიმები, ნარკოლოგები და ა.შ.</p>	<p>ჩვევები, დისციპლინათაშორისი კვლევები და მიდგომები</p>	<p>ჩართულია უწყვეტი სწავლებისა და გადამზადების სისტემაში, ეროვნული საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მოთხოვნების თანახმად</p>	<p>უნივერსიტეტში</p>
<p>მაგისტრატურის სტუდენტები ადიქტოლოგიის სპეციალობით</p>	<p>ფუნდამენტური ადიქტოლოგია</p>	<p>სრული სამაგისტრო კურსი ადიქტოლოგიაში (პირველი კურსი რეგიონში).</p>	<p>შემუშავებულია და ხორციელდება IB უნივერსიტეტში</p>